619/1953/2

ЭРОВНУЛИ
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 2 თებერვალი 1953

საქართველო-
კომუნიზმის მშენებლობებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქრო.

ფოტოზე: მზა მილები ეგზავნება კუიბიშევჰიდროშენს.

ქუთაისში კომუნიზმის დიად მშენებლობებისათვის მზადდება არტეზიული წყალსაქაჩავები.

ფოტოზე: ქარხანა „გორნიაკის" საამწყობო საამქროში ამოწმებენ მზა წყალსაქაჩავებს თურქმენეთის მთავარ არხზე გაგზავნის წინ.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სამშენებლო საქმეთა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა შეისწავლეს თურქმენეთის ადგილობრივი სამშენებლო მასალები.

ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ე. საგატელოვა, ზ. წილოსანი და გ. ჯიკაევა აწარმოებენ თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე გასაგზავნი ბეტონის ნიმუშების გამოცდას.



თბილისის ჰიდროენერგეტიკისა და ნაგებობათა საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს მინგეჩაურის მშენებლებს.

ფოტოზე: ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკები პ. მ. ვოროტელიაკი (მარცხნივ) და სამუშაოს ხელმძღვანელი ა. გ. ჭანიშვილი წყლის ენერგიის მშთანთქმელი ჭის ექსპერიმენტალური გამოკვლევის დროს.

ტანკისტები ტაქტიკურ მეცადინეობაზე →
ფოტო ვლ. გინზბურგისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 2 (19) თებერვალი 1953

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

619/1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

მშვიდობისა და უშიშროების საყარაჯოზე

მ. მიქელაძე

1953 წლის 23 თებერვალს გმირი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 35 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშოა. იგი წარმოიშვა ოქტომბრის დიდ მონაპოვართა შენაფენი და გარეშე მტრებისაგან დასაცავად.

დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მიერ შექმნილმა საბჭოთა არმიამ საბჭოლიანი ბრძოლისა და გამარჯვების გზა განვლო. საბჭოთა ხალხი ამაყობს იმით, რომ საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სწორუპოვარი სარდლისა და ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოიპოვეს მსოფლიო ისტორიული გამარჯვებები მტრებთან შეუპოვარ ბრძოლებში. მათ დაიცვეს არა მარტო ჩვენი მძლავრი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებიც იხსნეს ფაშისტური დამონებისაგან.

საბჭოთა არმია, ბურჟუაზიული არმიებისაგან განსხვავებით, არის ახალი ტიპის არმია, გათავისუფლებული მუშებისა და გლეხების არმია, ოქტომბრის უფეოლუციის არმია, იგი არის კომფორიზის საქმისათვის თავდადებული, ხალხთა ამოზმისა და მეგობრობისათვის მებრძოლი არმია.

ბურჟუაზიული ქვეყნების არმიები კი, პირიქით, კოლონიური ჩაგვრის, ხალხთა დაპყრობის, დამონებისა და გაჩანაგების სულისკვეთებით გამსჭვალული არმიებს წარმოადგენენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატების არმია, რომელსაც რეაქციონერები უნერგავენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი სიძულვილს, ფერადკანიანი ხალხებისადმი ბიზღს, უღვთოებენ მხეცურ ინსტინქტებს. ამერიკელი იმპერიალისტები ხრდიან ბანდიტ ჯარისაკაცებს. თავიანთი სიმხეცით და ბოროტებით კორეაში ამერიკელ აგრესორთა ჯარებმა ბოლო მსოფლიოს წინაშე გამოამეჭღავნეს მხეცური ბუნება, სახიზღარი სახე.

საბჭოთა მეგობრები აღსრდილი არიან კომუნისტური პარტიის მიერ ინტერნაციონალისმის სულისკვეთებით, მათთვის უცხოა ეროვნული შუღლისა და მტრობის დამამცირებელი ბრძნობა. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა დაამარცხეს მხეცური ნაციონალიზმისა და რასიული სიძულვილის სულისკვეთებით აღსრდილი ფაშისტური არმია. მათ ღირსეულად შეასრულეს თავიანთ გამათავისუფლებელი მისია და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

არც ერთ არმიას არ ჰქონდა და არც ექნება ისეთი მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, ისეთი შეგნებული დამოკიდებულება თავისი სამშობლოო მოვალეობისადმი, როგორიც აქვს საბჭოთა არმიას. სამხედრო მოვალეობის მაღალი შეგნება, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა საშობლოს დაცვის საქმეში საბჭოთა არმიის საბრძოლო ხელოვნებისა და რაინდის დისციპლინის საფფუძველია.

ყველაზე მძიმე გამოცდა, რომელიც წლად ხედა ჩვენს შეიარაღებულ ძალებსა და მთელ საბჭოთა ხალხს, ეს იყო დიდი სამამული ომი. ვერც ერთი ხხვა არმია ვერ გაუძლებდა მთელი ეფროპის სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული ჰიტლერული ურდოების მოუსვენელ თავდასხმას.

ჩვენმა არმიამ არა თუ გაუძლო ფაშისტ დამპყრობთა შემოტეგას, არამედ თვითონ გადავიდა შეტეგაზე, სასტიკად დაამარცხა მტერი როგორც ევასვლეთით, ისე აღმოსავლეთით; ჩვენმა არმიამ ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტ აგრესორთა დამონებისაგან და ამით დირსეულად დაიმსახურა მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყოველთაო სიყვარული და პატივისეგმა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიულმა გამარჯვებებმა თვალნათლივ დაადასტურეს, თუ რაოდენი უპირატესობა აქვს სოციალისტური წყობილების ნიადაგზე და მშრომელი ხალხის წიაღიდან წარმოშობილ არმიას კაპიტალისტური ქვეყნების ანტიხალური არმიებთან შედარებით.

სოციალისტურმა წყობილებამ გარდაქმნა ჩვენი ქვეყანა, გადაალაგა პირველხარისხოვან ინდუსტრიულ ქვეყნად და ამით შეუქმნა მატერიალური, ტექნიკური ბაზა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს. საბჭოთა ხალხი აიარაღებს თავის არმიას მაღალხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით. მხოლოდ ახლა, უფრო პროგრესიული საზოგადოებრივი წყობილების პირობებში შეიძლებოდა შექმნილიყო სამხედრო კადრები, რომელთაც შესწევთ ძალა და უნარი ახლებურად გადასჭრან საბრძოლო ამოცანები ბრძოლის ველზე.

ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი საბჭოთა არმიის მაღალ მორალურ და საბრძოლო თვისებათა წყარო გახდა. უსაზღვრო სიყვარული საშობლოსადმი და განუზომელი სიძულვილი მტრისადმი საგმირო საქმეებით აღაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხს ბუნგში. სამამულო ომმა ათასობით გმირები წარმოშვა ჩვენს ქვეყანაში. ისინი მუდამ მზად იყვნენ სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა შეიარაღებულ ძალთა ძლიერების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შეადგენს ის, რომ მა ხელმძღვანელოვნის დიადი კომუნისტური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია. დიდი სტალინის ნებისყოფამ და გენიალურმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყოფა საბჭოთა სახელმწიფოს და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

დაგვდგომია რთველობისა და კალოობის დარი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ზემოფფეთ ცეცხლში ქალი.
ცისფერთვალა ქალო, ვალენტინა...
—კალოობის ოდვეს დარი,—
ჩემი გული კალო კალეფშენა!..
მიზერებში ოდვა ფსალო
უცანაურად რეკდა გარეთ ფეიმა,
რაკა ფენი ცეცხლი მაკლდა,
ისეც ცეცხლში ვიდექ, ვალენტინა...
ჩვენ სტალინგრადს რომ შევავლეთ თვალი.
გაფეთრდი და გული აგეტეირა;
სანინერო ინსტიტუტის კარი
მოგიხერა ომმა ვალენტინა.
მიღეცადა რისხეიი ეოლეგა,
ცას ეფდებოდნენ ცეცხლის ხარაჩონი.
ეენი ეფნიდა გულის ბორგვა
ოდერეფდაც ჩაჭესმოდა მეგონი.
იარაღით ხელში მდგარი
კვლავ მახსოვდი ქალო, ვალენტინა.
—კალოობის ოდვეს დარი,—
ჩემი გულის კალო გალეფშენა!..
რა ხანია გავიხადე ჩექმა,
მზე გადიდდა, სავსე მთვარეც ბრწყინავს,
გამეფეფოდა გულთან ზეშმა,—
სად ეზანეფი?
ენანხავდ მეფვავდი, ვალენტინა.
არ ეტოვეფი ეურნალს, ეაზეთს,
სტალინგრადში ფვიდეეულ ფოლმებს,
რომ ცხოვრების ამ დიდ ეზაზე
ეეეზეედეროდი თუნდ ეენს ნაცნობს ეინმეს
მე ვიცოდი — რა ზღაპრულად
იზრდებოდა ჩვენი სტალინგრადი.
მის ქუჩებში ეაზაფფულად
ხომ მარადი გამპრეკვეზა დადის.
მე ვიცოდი — ეოლეგის კაშბალს
შენ ეკეიდი, ინყრერო ქალო,
—ჩვენს გულეეში როდი დაშრა
სიმღერის და სიყვარულის ზეკარო.
ბოლოს ეეეგზედი!
ეორის სახლთან
ზზეს შესაქმრდი მოკრძალებით მდგარი
ვალენტინა, ნატეარა ახდა!—
დაგვდგომია რთველობის და
კალოობის დარი.

ამხანაგი სტალინი სწორუპოვარი სარდალია. იგი ომის ყველა სტრატეგიული გეგმის სულისჩამდგმელი იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, მისი ჩანაფიქრით შემუშავებული და განხორციელებული იყო საბჭოთა არმიის ყველა გადამჭრეტელი ოპერაცია. სტალინურმა სტრატეგიამ ბრწყინვალედ გადაჭრა შეიარაღებულ ძალთა განლაგებისა და ორგანიზაციის; ამოცანა.

სტალინური სტრატეგია და ტაქტიკა დაფუძნებულია თანამედროვე ომის წარმოფების კანონების ღრმა მეცნიერულ ანალიზზე. ამას დამსტურებს ამხანაგ სტალინის მიერ დამუშავებული დებულება მუდმივად მოქმედი ფაქტორების შესახებ, რომლებიც აწყვეტენ ომის ბედს, დებულება აქტიურ თავდაცვასა და კონტრშეტეგიაე კანონებზე, ტანკებისა და ავიაციის დიდი მასების როლის შესახებ თანამედროვეგ ომში, არტილერიის შესახებ, როგორც საბჭოთა არმიის ყველაზე ძლიერ იარაღზე.

დიდი სამამულო ომის ბრძოლებიდან, რომლებიც ფაშისტ აგრესორთა სრული დამარცხებით დამთავრდა, საბჭოთა არმია გამოეიდა პირველხარისხოვან არმიად. იგი შეიარაღებულია თანამედროვე მძლავრი ტექნიკით, უზრუნველყოფილია გამოცდილი და მაღალმორალური თვისებების მქონე სამხედრო კადრებით. ახლა, ომისშემდგომ პირობებში, საბჭოთა ხალხს შემოქმედებითი შრომის დიადი მაგალითით აღფრთოვანებული საბჭოთა მებრძოლები შეუპოვრად გაანგარიშობენ თავიანთ საბრძოლო დახელოვნებას. დღითი დღე ამაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ანმტკიცებენ სამხედრო დისციპლინას.

დიად გამარჯვებათა შარავანდედით მოსილი, სტალინური სამხედრო მეცნიერებით შეიარაღებული საბჭოთა არმია მტაცედ იცავს ჩვენს უძლეველ სამშობლოს. საბჭოთა მებრძოლებს ახსოვთ დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი, იარსებებს ჩვენს სამშობლოზე მტრის თავდასხმის საშიშროებაც.

საბჭოთა ეფოსრების მთავარი ამოცანაა დაუეჭრონლად იფფზონ თავიანთი საბრძოლო უნარიანობის ასამაღლებლად. მშვიდობისა და უშიშროების საქმე, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საქმე მოითხოვს საბჭოთა შეიარაღებულ ძალთა ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბრძოლო მზადყოფნას სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ჩვენი დღეები

გრიგოლ ჩიქოვანი

ყოველ წელიწადა კალენდარში ჩაგენ დიდი სიხარულით გადავშვით 25 თებერვლის ფურცელს. წელს ეს თარიღი განსაკუთრებული მდელვარებით გადაფურცლა ქართველმა ხალხმა. ამ მდელვარებას თავისი მიზეზი აქვს: წლეანდელი თებერვალი ჩვეულებრივი თებერვალი როდია ჩვენთვის. იგი პირველი თებერვალია, ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობიდან. მაგრამ განა შეგვიძლია ჩვეულებრივი ვუწოდოთ რომელმე განვლილ 25 თებერვალს? 1921 წლიდან ყოველ თებერვალს თავისი განუმეორებელი და ღირსშესანიშნავი ისტორია აქვს ქართველი ხალხისათვის.

განა შეიძლება ჩვეულებრივი წლები ვუწოდოთ ჩვენს სახელოვან და ბრწყინვალე ნუთ-წლებედს? წლებს, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით მწყობრში დგებოდა ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და მაღაროები, ჰიდროელსადგურები, ახალი ქალაქები და სოფლები. წლებს, რომლებმაც ჩვენი აგრარული ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყანად აქცია. შეგვიძლია დაწვრილებით ჩამოთვალოთ ის, რაც განვლილ 32 წლის მანძილზე ავაშენეთ და გავაკეთეთ, წეგვიძლია მოვიყვანოთ არა თუ ასობით, არამედ ათასობით სამაყო ციფრები, რომლებიც ძლევამოსილ შემოქმედებით სიმფონიად ყღერს, მაგრამ ძნელია იმის გაზომვა,თუ რამდენად ამაღლდა და გაიზარდა საბჭოთა ადამიანი.

როდესაც თვალს გადავავლებთ, ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის ერთი წლის ნაყოფს, ჩვენი ცხოვრების შრომით აღსავსე ყოველ დღეში დავინახავთ, თუ რა დიდი ძალა აქვს ჩვენს ქვეყანას, სადაც პირველად დედამიწაზე შესაძლებლობა მიეცა ადამიანს გამოეკანონა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი ინიციატივა.

გასული წელიწადი იყო დიდი აღმავლობის წელიწადი, მრავალ ახალ მშენებლობათა დაგეგმვისა და დაწყების წელიწადი. გასული წელიწადი იყო არა ერთი და ორი მშენებლობის დასრულების წელიწადი. ძნელია ყველა იმისი ჩამოთვლა, რაც ჩვენ ერთი წლის მანძილზე გავაკეთეთ და ავაშენეთ. ამ რამდენიმე დღის წინათ მეორედ ვნახე ფილმი „საბჭოთა საქართველო". ფილმში ასახულია ის მიღწევები, რომლებიც საქართველომ განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე.

ფილმი გადაღებულია დიდი ტემპერამენტით; აქ ყველაფერი გნიბლავდა, გიტაცებდა, დაუფარავი სიამაყის გრძნობით გავსებდა, მაგრამ თანდათან გაკვირვება გიყრობთ: ნუთუ ფილმი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ გადაიღეს და რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა მთელ საბჭოთა ხალხი, უკვე აღარ იძლევა დღევანდელი საქართველოს სრულ სურათს?

რა საოცარი სისწრაფით მიდის თურმე ჩვენი ცხოვრება წინ, რა სწრაფად იცვლის ჩვენი ქვეყანა სახეს! როგორ არა ჰგავს არა მარტო შარშანდელი წელიწადი წლევანდელს, არამედ გუშინდელი დღე დღევანდელს.

უყურებთ ფილმს და თქვენს თვალწინ იშლება საქართველოს დიადი პანორამა: ალაზნის ველი, რიონის ჭალები, დარიალის ხეობა, კოლხეთის დაბლობი და კავკასიონის ცადაზიდული მწვერვალები.

კინოპანორამს შევყავართ ჭიათურის მაღაროებში, ტყიბულის და ტყვარჩელის შახტებში, გვიჩვენებს ნაყოფით დახუნძლული ბაღებსა და ვენახებს, ციტრუსისა და ჩაის პლანტაციებს, რუსთაველ მეტალურგიულ ქარხანას, შევყავართ მწერლებისა და მეცნიერების ლაბორატორიებში.

ვხედავთ ქალაქ რუსთავის მშენებლობას, ზაპეს, ხრამჰესს, ჩითახეგჰესს, ხესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანას, საქართველოს პურის ბეღელს—ვრცელსა და ბარაქიან შირაქს. ვხედავთ წარმოებისა და მინდვრის ნოვატორებს: ეფრაიებს, მეპალეებს, მეკვნეხებს, მეაბრეშუმეებს, ლითონის ჩქაროსნულ მჭრელებს და მეფოლადეებს, ვხედავთ მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, ქართველი ხალხის შეძლებულ და ბარაქიან ცხოვრებას.

ყველგან სიუხვე, სიახლე, ნათელი ცხოვრება, ნათელი ფერები და მაინც ვერ ვხედავთ დღევანდელ საქართველოს მთლიან სახეს. აი, თბილისი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, რუსთაველის პროსპექტი, მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, სტალინის სახელობის სანაპირო, მეტეხის ახალი ხიდი, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბერიას სახელობის სტადიონი, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი... მაგრამ სად არის მთავრობის სასახლის მონუმენტური შენობა, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ან მთელ ქალაქში ყველაზე დიდი და ულამაზესი, სტალინის სახელოვნის ხიდი? ფილმში ჩვენ ვხედავთ ორთაჭალეკის ქვაბულს, ახლა კი აქ ყველა ბურჯი ამოყვანილია; ფილმში ჩვენ ვხედავთ, როგორ ჩადის ივრის პირველი წყალი ლაჩუ ტაეების აუზში, ახლა კი ეს აუზი ისე გაივსო წყალით, რომ მაროლა დაემსგავსა ზღვას. ფილმში ჩვენ ვხედავთ სამგორის დამსკდარ, ტატეელ ველს, ახლა ამ ველზე რამდენიმე ახალი სოფელია გაშლილი; ფილმში ჩვენ ვხედავთ ქალაქ რუსთავის ქუჩებს, სადაც არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ნარგავი არა ჩანს, ახლა ამ ნორჩი ქალაქის განიერ ქუჩებს 10-15 წლიანნაძვის და ჭადრის ხეები ამშვენებს, ახლა აქ ქალაქის მოედანზე ბულაჩაურის შადრევანი ჩქეფს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას დღეს კომენიზმის დიდი ხუროთმძღვარის დიდი სტალინის სახელი ჰქვია; სამგორში დღეს ახალი მოსახლეები სამგორის მიწაზე მოწეულ პურს ჭამენ და გარეჯის მთიდან სასმელი წყალი გამოყავთ ახალი სოფლებისათვის.

ფილმში ჩვენ ვხედავთ სუბტროპიკულ მცენარეთა წაალკოტში ჩამჯდარ ულამაზეს ქალაქს—სუხუმს, ოვეთი, ნათელი შენობებით, კოხტა კოტეჯებით, ლარივით სწორი და განიერი ქუჩებით და არ ვხედავთ მის შესანიშნავ თეატრს, რომლის გახსნა ამ თვეხახევრის წინათ იზეიმეს სუხუმის მშრომელებმა.

ფილმში ჩვენ ვხედავთ, როგორ გადმოდის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან პირველი მანქანა. დღეს კი ქუთაისის მანქანაები არა მარტო ჩვენი დიდი ქვეყნის მიწაზე დაჭრიან, მათ ნახავთ პოლონეთში, ჩინეთში, რუმინეთში და სხვა სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში.

ფილმში ვხედავთ პლანტაციებს, —უხვი მოსავლის ოსტატები ჩაის ფოთოლს კრეფენ, შეაქვთ სასუქი ნაკვეთში, ამუშავებენ ნიადაგს და სხლავენ ბუჩქებს. ყველაფერ ამას ისინი ხელით აკეთებენ. დღეს კი ქართველ მეჩაიეებს შესანიშნავი, მაღალი წარმადობის მანქანები აქვთ და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესი მექანიზირებული იქნება. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ვნახე ჩაის ფოთლის საკრეფი, ბუჩქის სასხლავი, სასუქის შემტანი, საფუმბაგაცი და საკულტივაციო მანქანები. ეს მანქანები მალე მასობრივად შევლენ ჩაის პლანტაციებში. დღეს მრავალი ქარხანა ამზადებს ჩაის ფოთლის საკრეფ და პლანტაციის დამმუშავებელ მანქანებს.

მე ვნახე „ჩინელ ვლადიმერ ილიჩის" - ამავე კოლმეურნეობაში. ჩაის კულტურის უძველესი ქვეყნის შვილები აღტაცებით შესცქეროდნენ ამ მანქანებს, ბავშვებივით ხარობდნენ მათი მუშაობით და, ქართველ კოლმეურნეებთან ერთად ამაყობდნენ ამ მანქანებით. მე ვნახე, როგორ უზიარებდნენ ერთმანეთს ჩინელი და ნატანელი მეჩაიეები თავის მუშაობის გამოცდილებებს.

რამდენი ახალი მშენებლობის ჩამოთვლა შეიძლება კიდევ, რამდენი რამ გაკეთდა ახალი მას აქეთ, რაც ფაქმის გადაღება დამთავრდა, რამდენი ახალგაზრდა მეცნიერი, ნოვატორი, მხატვარი შეეძატა ჩვენს ქვეყანას. დიდი სტალინის გენიალურმა ნაშრომმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", მისმა სიტყვამ ყრილობის საბოლოო სხდომაზე ახალი შემოქმედებითი ძალები შეგვმატა. ბელადის ამ დიდმა თეორიულმა ნაშრომმა, რომელიც აჯაბეს ჩვენი ეპოქის უდიდეს მიღწევებს და ჩვენს წინსვლას, შეგვაიარაღა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გარკვეული პროგრამით.

აი, როგორ არა ჰგავს ჩვენი წლები, თვეები და დღეები ერთმანეთს. ოდესღაც დიდი ილია მწარედ სჩიოდა იმის შესახებ, რომ საქართველოს ცხოვრება მეტად შინშეკეტილი იყო...„ მეტად მამალულია თვალთაგან, საერთოდ უჩინრად მოძრაავა, მეტად მდოგრად მიდის, დღე დღესა ჰგავს ჩვენში, თვე თვესა და წელიწადი წელიწადსა. ერთსახეობა, ერთნაირობა ადამიანის თვალს ხალისს უფუჭებს ცქერისას, დაკვირვებისას და ზედამხედველობისას". ჩვენთვის ყოველი ახალი წელიწადი, ყოველი ახალი თვე და დღე ჩვენი ყველაზე ნათელი და სანეკვარო ოცნებათა განხორციელების წელიწადი, თვე და დღეა. გადავხედოთ XIX პარტიული ყრილობის მიერ დასახულ უახლოესი ხუთი წლის სამუშაოთა გრანდიოზულ გეგმებს: საქართველოში ახალ ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა 11 მილიარდ მანეთს დადაკმაყოფილებს, როცა მეოთხე ხუთწლეედში იგი სულ 4 მილიარდ 800 მილიონ მანეთს შეადგენდა. წელს ჩვენ ვკვეფნეა ჩვენი კოქსი, ბაისაფ—თუჯი... კიდევ რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ისინი დაუსრულებელნი არიან. გავიხსენოთ ზემოთმოყვანილი ფაქტები, რომლებიც შეადგენენ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ცხოვრების ცოცხალ ქსოვილს, რომლის შესახებ, თუ შეგაბრუნებთ ილიას სიტყვებს ასე უნდა ვთქვათ:

ჩვენი ცხოვრება იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ თვალს ვერ მოავლებ, გონებას ადგილად ვერ გადაეწვდებ, მისი ხმა ცხრა მთას იქით ისმის. ისე სწრაფად მიდის წინ, რომ დღე დღეს არა ჰგავს ჩვენში, თვე თვესა და წელიწადი წელიწადს, სხვადასხვასახეობა, სხვადასხვანაირობა ადამიანის თვალს იტაცებს, გულს უხარებს, სულს უფსებს. ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე ჩვენი რომელიმე ოცნების განხორციელების დღეა. აი, ასეთია ჩვენი დღეები!

მეგობრის ოცნებები

ე. მარიამიძე

აღმოსავლეთ პრუსიაში შეპრილი მეორე ბელლორუსის ფრონტის ჯარები ქალაქ კენიგსბერგის მისადგომებთან იყვნენ გაჩერებულნი. ჩვენი სამშობლოდან განდეგილნი მტერი უფრო და უფრო მეტი გაოფორებით იცავდა თავს, მთელ ძალლონეს ძაბავდა იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შეენელებინა საბჭოთა ჯარების წინსვლა.

კენიგსბერგის მიდამოებში შენიღბული გერმანელთა საარტილერიო ბატარეები ცეცხლს აფრქვევდნენ ჩვენს პოზიციებს. საჭირო იყო მათი აღმოჩენა და მტრის ქვემეხთა ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრა. ამ ამოცანის შესრულება დაეკისრა ტექნიკა-ლეიტენანტს ბეერთი ინარატორის დარგში, ბელორუს ვასილ ზაბირანს და მეტეოროლოგიური სამსახურის სერჟანტს — მიხეილ ჟორჟოლიანს. ისინი არტილერიის ინსტრუმენტალური დაზვერვის ოსტატები იყვნენ და, სრულიფიფელი სამამულო ომიანობა შეიარაღებულნი, გერმანელთა ქვემეხების სროლის მიხედვით, ზუსტად იგებდნენ მათ ადგილმდებარეობას. ვასილმა და მიხეილმა ახლაც ბრწყინვალედ შეასრულეს დავალება. ცოტა ხნის შემდეგ კი ჩვენს არტილერიას თანდასთან მწყობრიდან გამოეყავდა მტრის ქვემეხები.

კენიგსბერგი აღებული იქნა.

გერმანელთა შეპარის შენობის კედელზე, მრავალთა შორის, წარწერილი დარჩა ორი გვარი: „ვ. ზაბირანი, მ. ჟორჟოლიანი. ავიღეთ კენიგსბერგი". რას წარმოიდგენდნენ მაშინ ფრონტელი მეგობრები, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ქუთაისის ავტოკარხნის ერთდროინდელ ეს ორ ადამიანი ერთ ადგილ ერთად ხელმოწერა რომელიმე სოციალისტიკურ ბრიგადის დროს.

ოუმცა ფრონტელ მეგობრებს მაშინვე ჭკონდათ გადაწყვეტილი, რომ სამამულო ომის დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტათ ერთმანეთთან კავშირი.

1945 წელს ორივემ შეიბრუნეთ აიღო და მიხეილმა სტუმრად მიიწვია ვასილი. ისინი ქუთაისში ჩამოვიდნენ. ვასილი ზაბირანი პირველად იყო საქართველოში, იგი აღტაცებული დარჩა დიდი ბელადის სამშობლოს სილამაზითა და ხალხის სტუმართმოყვარეობით.

მიხეილ ჟორჟოლიანი, როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი, დემონიფიზებული იქნა არმიიდან. იგი ლექციებს დაუბრუნდა და გაორკეცებული ენერგიით განაგრძო სწავლა მექანიკური ფაკულტეტის ავტო-საგზაო სპეციალობაზე. მალე დემობილიზებული იქნა ვასილი ზაბირანიც. იგი ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა თავის სამშობლოში. მერე კი ჩრდილოეთში გაემგზავრა სატეო მრეწველობის სამუშაოებზე. აქ ვასილმა მალე აითვისა ბულდოზერის მოტორი და მისი მართვაც დაიწყო. ფრონტელი მეგობრები ამყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის თითქმის უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში, მაგრამ წერილების საშუალებით ისინი მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან კავშირის დამყარებას.

ერთხელ ვასილმა გაზეთში ამოიკითხა, რომ ქუთაისის ავტოკარხნამ პირველი ავტომობილი გამოუშვა. ამ სასიხარულო ცნობამ ვასილს გული აუძგერა, თითქოს გული აუძგერდა იმ ბულდოზერსაც, რომელსაც ვასილი მართავდა. ვ. ზაბირანი უკვე კარგად იცნობდა მოტორს, მაგრამ უნდოდა, რომ ახალი ძრავების შემქმნელიც გაბმდარიყო. მალე წერილი მოვიდა ქუთაისიდან. მიხეილ ჟორჟოლიანი— უკვე ქუთაისის ავტოკარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი — სთხოვდა ვასილს, რომ თუ სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდა, ჩამოსულიყო ქუთაისში; „ჩვენს კარხანას ძალზე სჭირდება შენისთანა სპეციალისტები" — უბადებდა მიხეილი.

და აი, 1952 წლის შემოდგომაზე ვასილ ზაბირანი მთელი ოჯახით ესტუმრა მიხეილს. მან ძრავების გამომცდელად დაიწყო მუშაობა ქუთაისის ავტოკარხნის ძრავების საამქროში. ვასილმა თავისი ცოდნითა და ენერგიული მუშაობით მალე მიიპყრო ყველას ყურადღება. ვ. ზაბირანი კარხნის ერთ-ერთი მოწინავე მუშა გახდა...

ძრავების საგამომცდელო სადგურში ხშირად შემოდის ინჟინერ-ტექნოლოგი მიხეილ ჟორჟოლიანი და მუშებს რჩევა-დარიგებას აძლევს, ნამუშევარს უმოწმებს. მერე კი—სამუშაოს დამთავრების შემდეგ—ტექმინიმუმის კურსს უკითხავს.

ძველი მეგობრები ერთად მიდიან ხახლისკენ. აქამდე ვასილი მიხეილის ოჯახში ცხოვრობდა, ახლა კი ბინა მიიღო ავტოკარხნის ახალაგებულ საცხოვრებელ სახლში.

ერთხელ მიხეილთან მყოფი ვასილი ოჯახის ფოტო-ალბომს ათვალიერებდა. უცებად მისი ყურადღება მიიპყრო პატარა, გაცრეცილმა სურათმა.

— ერთი ამას შეხედე, მიშა, ნამდვილ რაინდებს არა ვგავართ?! — წამოიძახა ვასილმა.

მიხეილმა ფოტოსურათს დახედა: მასზე გამოსახული იყო ბიჭითა ჟორმიელების ოფიცერი, მეფერონე მწყობრად მიმბაჯეებდნენ რომელიღაც ხიდის ქუჩაში. მათ შორის ჩანდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მიხეილ ჟორჟოლიანი და მაღალტანიანი ზაბირანი. ისინი ფრონტისკენ ეჩინჩარიდნენ.

— აბა, ახლა ეს ფოტოც ნახე! — წარმოთქვა მიშამ, სწრაფად გადაშალა ალბომის რამდენიმე ფურცელი და ერთ სურათის წაჩენენელი თითი დაადო. ფერადგრაფს გადაეღო ქუთაისის ავტოკარხნის ძრავების ნაამქროს მუშები ძრავის გამოცდის დროს, მუშებს შორის იყო ეშენერ-ტექნოლოგი მ. ჟორჟოლიანი და ვ. ზაბირანი.

— მე მგონი აქაც რაინდებს ვგავართ, ჰა, რას იტყვი ვასილ? — გაიღიმა მიხეილმა — მხოლოდ მშენებლობის რაინდებს, მშვიდობის რაინდებს!

ვასილს გული აუჩუყდა და ხმის ამოოღებლივ გადაკოცნა მეგობარი.

ᲖᲚᲕᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲐᲥᲪᲡ ᲗᲔᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘ ᲥᲐᲠᲣᲚᲘ

ზღვა 'სიხარული მოაქცს თეგერვალს,—
ხმას მიეცემთ ჩვენი დიდების მწყერვალს.
გულით ხმას მივცემთ საცვარელ ბელადს,
ვინც ყულისსნიერ მამად ჰყავს ყველას.

სტალინი ყველა ხალხის მზე არის,
კრემლიდან ათბობს სამშობლოს დიადს.
კაცი მართალი, ფოლადის გვარის,
ხალხისთვის ქმნილა ხალხის ქარტიას.

იგი აერთებს დონსა და ვოლგას,
იპყრობს ბუნებას უფრეცი ძალით.
მისი სურვილით კაშხალნი ბორკავს
შმაგ მდინარეთა მჩქეფარე წყალი.

იგი გრიგალსაც აჩერებს ველად,
ტყეებით ქარგავს ტიალ ტრამალებს.
დგას მსოფლიოში მშვიდობის მცველად,
კომუნიზმისკენ წინსვლას ამალებს.

იგი აცოცხლებს ხრიოკ უდაბნოს,
ცივ ტაიგებშიც ავებს ქალაქებს;
ხალხმა დიდებით ეზა დაუდადნოს,
ვინც ღიდამშენს სეკ-ბელს განაგებს.

მან გამოზარდა გმირთა ოთობა;
დასცა, დაამხო მტერი ვერაგი,
გმირს ჩაუნერგა გამბედაობა.
ომში ჩააცვა ტანის ბერანგი.

და არჩენებზე როცა ვიჩქარით,
ყველას წინ გვიძღვის მისი სახელი,
ბრწყინვალე, როგორც ჩვენში ცისკარი.
ამომავალი მზის დამსახველი.

ალალი ვრძნობით აკიღეთ ფურცელს,
რომ ავირჩიოთ ხალხის შვილები.
ხმითაც გამოვთქვამთ სიყვარულს უცვლელს
სტალინის ზრუნვით ფრთაგაშლილები.

ხმას მიეცემთ იმას, ვინც ღიად მამულს
აძლევს საკუთარ სულს და მარკვეულს.
ვინც ადამიანს, შრომაში ჩაბმულს,
საქმით უნერგნებს ღიდ გამარკვეულს.

ზღვა სიხარული მოაქცს თეგერვალს, —
ხმას მიეცემთ ჩვენი დიდების მწყერვალს,
გულით ხმას მივცემთ მშობლიურ ბელადს,
ვინც ქვეყანაზე მამად ჰყავს ყველას.

←ძველი მეგობრები ვ. ზაბირანი (მარცხნივ) და მ. ჟორჟოლიანი საუბრობენ შესვენების დროს.
ფოტო ა. ლეონიძისა

საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე

16 წლის წინათ, 1937 წლის 18 ოქტომბერს, გარდაიცვალა დიდი ტალანის უანგარო თანამებრძოლი, მშრომელთა საყვარელი ადამიანი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, კონფედერაციისათვის თავდადებული მებრძოლი სერგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე. მისი მრავალმხრივი შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია ლენინ-ს-ტალინის პარტიის ბრძოლა ოპორტუნისტებთან, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შექმნასა და აყვავებისთვის.

სერგო ორჯონიკიძე ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, 1903 წლიდან ის არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, 1906 წლიდან კი, ამბანავ სტალინის ხელმძღვანელობით, რევოლუციურ მუშაობას ეწევა ამიერკავკასიაში.

1907 წელს პარტიული ორგანიზაციის დავალებით სერგო ორჯონიკიძე ბაკოში გიმენაზიერ სამუშაოდ. აქ იგი შეეკავშირა ბოლშევიკურ კომიტეტში, რომელსაც ამბანავი სტალინი მეთაურობდა.

1910 წელს სერგო ხარკოვიანეთში გიმენაზიერ. აქ იგი პირველად შეხვდა დიდ ლენინს. ლენინის ხელმძღვანელობით 1911 წელს ხარკოვიანეთში, სოფელ ლონეფოეფოში, დაარსებული იქნა პარტიული სკოლა, რომელსაც მუშათა წრეებიდან უნდა მოემზადებინა თეორიულად შეიარაღებული არალეგალური მუშაკები. სერგო ყურადღებით ისმენდა დიდი ლენინის ლექციების ამ სკოლაში. ამ დროს მოვლენათა მსვლელობამ და პოლიტიკურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა პარტიული კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა. ლენინის დავალებით ორჯონიკიძემ შეუფუფა სწავლა ლონეფოეფის პარტიული სკოლაში და გამოიგზავნა რუსეთში, რათა პრაქტიკულად ეხელმძღვანელა პარტიული კონფერენციის მომზადებისათვის.

სერგომ შემოიარა რუსეთის მთელი რიგი სამრეწველო ქალაქები და ადადგინა იქ ყანდარმერიის მიერ დარბეული პარტიული ორგანიზაციები. ფასდაუდებელი დავალები მიუძღვის მას პარტიის VI (პრაღის) კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების საქმეში. კონფერენციის მიერ არჩეულ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა სერგო ორჯონიკიძე.

ორჯონიკიძის მრავალმხრივი რევოლუციური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის მთავრობას. 1912 წელს სერგო დაპატიმრეს, ხოლო 1915 წელს სამოქმედ გადასახლეს შორეულ ციმბირში—იაკუტიაში. მაგრამ გადასახლებაშიც არ შეუწყვეტია სერგოს რევოლუციური მუშაობა. 1917 წლის გაზაფხულზე ორჯონიკიძე გადასახლებიდან პეტროგრადში ბრუნდება და ლენინისა და ტალინის ხელმძღვანელობით აქტიურად მუშაობს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

სერგო ორჯონიკიძეს დიდი ღვაწლი მოუძღვის სამოქალაქო ომის პერიოდში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს დაცვის საქმეში. შემდეგ წლებში— სერგო ორჯონიკიძე ს. მ. კიროვთან ერთად სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ხალხების რევოლუციურ ბრძოლას ინტერვენტების დაქირავებული აგენტების— მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების წინააღმდეგ. 25 ოქტომბერს ლენინისა და სტალინის სახელმწ ვაზვაზნილ დეპეშაში ორჯონიკიძე წერდა:

„ბაქოელები ფრიალების საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სერგო ორჯონიკიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ბრწყინვალედ ებრძოლა ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკას.

დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ორჯონიკიძე შედიოდა პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა იმ ბირთვში, რომლებიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით პრაქტიკულად მეთაურობენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებლობის საქმეს. 1926 წელს იგი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, დაინიშნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1930 წელს ორჯონიკიძე ინიშნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში უანარიბმა ხელმძღვანელობამ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის სტალინური პრინციპის ბრწყინვალედ განხორციელებამ, სერგოს მოუტოვებელ ავტორიტეტი და სიყვარული პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე.

ლენინ-სტალინის ტიპის შეუფარეველმა სახელმწიფო მოღვაწემ, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შესანიშნავმა პროპაგანდისტმა სერგო ორჯონიკიძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა მშრომელთა ბედნიერებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლას.

16 წელმა განვლო მეგზურისა და ბრძოლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დგარაზულ საბჭოთა ხალხს საგმირო საქმეებისათვის ალფრთოვანებს სოციალისტური სახელმწიფოს აყვავებისათვის შეუფარეველი მებრძოლის, სერგო ორჯონიკიძის ბრძოლისა და შრომის მაგალითები.

ე. ქავთაძე

კ. ვოროშილოვი, ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე
სამოქალაქო ომის პერიოდში.

მხატვარი დ. ჟუთათელაძე

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები

„სიორდიას დაზგა“

დაზგასთან დგას ახალგაზრდა, თოთქმის ბავშვური გამომეტყველების მუშა. იგი ხელში იღებს ბრძელ ფიცარს და დაზგის მბრუნავ ცილინდრებს შორის ათავსებს. რკინის გორგოლაჭები ფიცარს ორივეენ და მეორე მხარეზე გააქვთ. ფიცარი უკვე გაშლილშინებულია, მაგრამ დაზგას თორმე სხვა ოპერაციებიც შეუსრულებია: ფიცრის ორივე მხარე ჩამოუთლია სიგანეზე, ღრეჩოები ამოუჭრია, ერთნაირი სისქე მიუცია. ხუთი ოპერაცია სრულდება ამ დაზგაზე, იგი ათი კაცის ნაშუაშის ასრულებს. დაზგაზე შეიძლება ოთახისათვის საჭირო თითქმის ყველი დეტალის დამზადება: ფანჯრების ჩარჩოები, იატაკისა და ჭერის ფასალი და სხვ. ამავამად კი დაზგა ფასალის ამზადებს ყუთებისათვის, რომლებიც საბერთა ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის მზა პროდუქციის გადასაგზავნად.

ზესტაფონის მეტალურგები ახალ გამოგონებას, უბრალოდ, „სიორდიას დაზგას“ უწოდებენ. ეს ის ახალგაზრდა, ბავშვური გამომეტყველების მუშაა, რომელიც ამ წუთში დაზგასთან დგას.

პარტიის წევრობის კანდიდატი ვარლამ სიორდია ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის ხარემონტო ხაამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანია. მას ხელში ხშირად უნახავთ ტექნიკურ ლიტერატურას. ვარლამმა მტკიცედ გადასწყვეტა, რომ ნამდვილი გამომგონებელი გახდეს. ქარხნის დირექცია ყოველგვარ პირობებს უქმნის ახალგაზრდა მუშას, რომ მისი ხელოვნური სინამდვილეც იქცეს.

ვარლამის მამა — ბელიატინ სიორდია ძველი მეავეჯეკი, ვარლამმა მისგან ისწავლა ხალხურგული საქმე.

— რიცა ამ დაზგის შესახებ უამბე, გიეხარდა მამას? — ეკითხება ვარლამს ამხანაგი მუშა.

— გიეხარდებოდა ალბა რა, — პასუხობს ვარლამი. — თვითონ ხომ ძველად ხელით წესალობდა ასეთ სამუშაოებზე.

ვარლამ სიორდიას კიდევ ორი ახალი რაციონალიზატორული წინადადება აქვს. მათ შორის სანინტერესოა პირდაპირი ხერხი, რომელიც მრუდმხარა მექანიზმის გამოყენებით და პატარა ელექტრომოტორით იმუშავებს.

გიორგი ლეონიძე შანდორ პეტეფის ძეგლთან. (უნგრეთი).

3. ნაღარეიშვილი

პოეტი და მოქალაქე

როგორი სულიერი გაწყობილების მომენტშიც არ უნდა წაიკითხოთ გიორგი ლეონიძის ლექსები, მოწყენილობა იქნება ეს, თუ უკიდურესი სიხარული, თქვენ კიდევ უფრო გამაღლებენ, გამხნევებენ, გაგიკაკაცებთ და თითქოს ფიზიკურ ძალასაც გმატებთ ეს სტროფნები. ამის საიდუმლოება პოეტის სიტყვის სიძლიერესა და სტროფონის სიმტკიცეშია, სტროფისა და ლექსის აშენების თავისებურებაშია.

ლეონიძის სიტყვა მოგაგონებთ მიწაში ნაპოვნ გრანიტის ნატეხს, რომელიც ისე საოცრად ჰგავს ადამიანს, ან რომელიღაც საკანს, რომ მას გამოქანდაკება აღარ სჭირდება. მაგრამ მხლოდ მაშინ იქცევა იგი ხელოვნების ნამდვილ ქმაღლებად, როდესაც პოეტი შესაბამის ფონს შეუქმნის და მიუთითებს მკითხველს, თუ რომელი კუთხიდან, რომელი წერტილიდან შეხედოს ამ საკანს. ასეა დაწერილი ლეონიძის პოეტური ქმნილებები. ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ დარჩენილა, ლექსის თემად რომ არ გაეხადოს პოეტს.

აი, ასეთი შთაბეჭდილებები გეგმაღებათ, როდესაც კითხულობთ გიორგი ლეონიძის მრავალფეროვან, მაგრამ ერთი ფერით — სტალინური ეპოქის მზის ფერით განათებულ ლექსებს, როდესაც კითხულობთ მის უკანასკნელ წიგნებს.

მაგრამ სარეტროსოა რაზე მეშაოს ამკამად პოეტი? რომელი წიგნი მიემატება მალე მის უკანასკნელ წიგნებს?

* * *

შეედოვარ ჩვენი სახელოვანი პოეტის — საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი ლეონიძის კაბინეტში. ოფიციდ წუთია საკმარისი იმისათვის, რომ დარწმუნდეთ თუ რამდენად დატვირთულია იგი საქმეებით. მოსაცდელი ოთახი მოდან სავსე იყო. როგორღაცაში შემოდიოდნენ თავმჯდომარესთან. ფეიფინ კი მაგიდაზე ქაღალდები გაეფინა და ამ უამრაგ პასუხებში და გასაუბრებაში მაინც ახერხებდა რაღაცის წერას.

ეეეკოდ მფოვნი ქალი შემოგდა და მოახსენა:

— მეტეთა ტეკკვს!

— მეტეთა? ბამა, გადმოიყვანეთ ტელეფონი, რაიკომის მდივანი... დიახ. ლეონიძე ვარ... ერთ პატარა საკითხზე უნდა შეგაწუხოთ; ამას წინათ ჩამოვიარე თქვენსკენ და... მუხათკვერდის კოშკი ხომ იცით... დიახ... ვიღაცას დაუზიანებია. როგორ? ეკვე მიიღეთ ზომები? კეთილი, კეთილი! — პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ყურმილი ჩამოკიდა და გაბმარება:

— ერთი კოშკია ზაპესის ახლოს, მუხათკვერდის კოშკს ეძახიან, ვიღაც შემხვედეთ გამგზავრებას დაუზიანებიათ სანაირეველი. თავისთავად მნიშვნელოვანი ან ძველი, ბაგრამ არა ნა მოაკლეს იმ კოშკთან და კიდევ იმითია საინტერესო, რომ ლერმონტოვსა აქვს ჩაბატული.

ყურადღებით ვუსმენდი გიორგი ლეონიძის ამ სიტყვებს და მაოცებდა მისი მოქალაქეობრივი მოვალეობის დიალაზონი, რომელიც იწყებოდა ისტორიული ძეგლების დაცვიდან და ამ მოხსენებით თავდებოდა, რომელიც ჯერ კიდევ წერის პროცესში ეფეთ მაგიდაზე და რომელიც უნდა წაეკითხა მწერალთა კავშირის ერთ პატარელ კრებაზე. პარტიულ კრებებზე კი ყოველთვის საპრინციპოდ, დღეკანდელობისა ნაკარნახეკი საკითხები დგას.

გიორგი ლეონიძემ ახლახან დაამთავრა კინოსცენარი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ეს სცენარი ნაყოფია გიორგი ლეონიძის ხანგრძლივი კვლევისა მუშაობისა, რომლის შედეგად მან 30 ფურცლიანი ნარკვევი შექმნა ჩვენი საოცარი ეპოტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გიორგი ლეონიძის აღიარებელ ლექსებშიც მოჩანს ბარათაშვილთან ეაინტერესებულება. გიორგი ლეონიძეკ ეფიფანეს ოარაფეტილ ბატეა და ლექსს პირველი სტროფოინდანვე აქლეკს დანაბადარ ბიჭეს, რომელიც ბალო წერტილის შედეგაკ გრძელდება მკითხველის შემოქმედაში. პოეტის ეს შეხედვები მისი სცენარისტული მუშაობის საწინდარია.

მარტო «ბარათაშვილისა» შექმნით არ ამოიწურება ჩვენ ეაანასკელი ნაშრომები.

ამ რამდენიმე წლის წინათ,შუქარსტმი ყოფნისას, ლეონიძე ერთ-ერთ წიგნს ბალაზიაში შეეფდა თავისი პოემის «ბელადის ბავშვობა» და ყრმობისა» რომლეული თარგმანის საყიდლად. გამოდიგეკლმ მას უკანასკნელი ეგზემპლარები გადმოეღო, თანაც ისეთი აღფრთოვანებით შეხედა, თითქოს ეკითხებოდა როდის დასწერდა ქართველი პოეტი დიდი ბელადის სიკეთეკის ზეკლის ამსახველ წიგნს, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა რუსნელი მკითხველი.

ჩვენს პოეტს მაშინ გადაკრთი არაფერი შეეძლო ეპასუხნა, რადგან ამ დიად ოცნებას ჯერ მხოლოდ გულით ატარებდა და ქაღალდისათვის მისი განდობა ვერ გაბედნა.

ღღეს რომ ამაკე შეკითხვით მიემართათ მისთვის, პოეტს შეეძლო თითქმის დამთავრებული ახალი პოემის ჯერ ისევ გადაუთვირებელი ფურცლები ეჩვენებინა და ზოგიერთი ნაწყვეტიც წაეკითხა.

მხატვრის ატელიეში

როდესაც საქართველოს ხსნ სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს თავის ატელიეში ეწვევეთ, ხუთათეკნთ დაფარულ კედლებს შეხედვისას გავიწყდებათ, რომ ვარეთ ზამთარია და ზაღრეს სუსხიანი ქარი აშფოთებს.

მხატვარს თავის ეტალიეში, თუ ეკვე დასრულებულ ტილოებში გაეაფუფული ბოდეოოსმლებია, თქვენ ეკრნობთ ახლად გაფოთოლილი ხეების სურნელებას, ეგზმით ნაპირთან შეხვლისას ეკოეტეკელი ტალღების მილეული ხმაური, ხედავთ შუქჩრნელთან გაბნეულ ბაკ ჩრდილებს, რომლებიც აკაკ ჩნდებიან, ლრეზლების შორის დრო და დრო გამოჩენილ მზის ნათებასთან ერთად.

უჩა ჯაფარიძე პეიზაჟების კარგი მხატვარია, მაგრამ თავისთავად ალებული ბუნება, რაგინდ მშვენიერიც არ ოკოს იგი, თუ კი მას ადამიანები არ ამშვენებენ ნაკლებად ეზიდავს მხატვარს. ამიტომაკ არის რომ ბუნება, ქართული ლანდშაფტების მოელი სიდიადით და მრავალფეროვნებით, უმთავრესად ფონის როლს ასრულებს მის შემოქმედებაში. ადამიანები კი, მათი ურთიერთობანი, მათი გრძნობებით და ფიქრებით ცოცხლებენ ამ კოლორატულ სურათებს; ისინი იმდენად კონკრეტულნი, იმდენად ცოცხალნი არიან, რომ თქვენ უნებურად რომელიმე თქვენს ნაცნობს გაგონებთ, თითქოს მათ სადღაც ბაზრობაზე ან სამკალში შეხვედრიხართ... ეს ტილოები თავიანთბური ეანოული სურათებია ყოველკვარი იდიდეური სამშვიდობა და მოდუნების გარეშე.

ვთხაკ თუნდ ერთხელ უნახავს რომანტიული გაგაცუნთი შესრულებული მისი „სიყრმის შეგობრები“, განა როდისმე დაეაფუფდება ამ ორი, შეეხანს ეკადაცილებული ადამიანის სახე?... მხატვარი პორტრეტულ დახასიათებასთან ერთად, ისეთი დასაბამსოფრებელი ეუხტეთ ვვიხატავს ორივეს, რომ ჩვენი წარმოდგენა ვეფიდეოდეს ვერა ცვლის მხატვრის ჩანაფერრნი.



ჩვენ ვუყურებთ მხატვარს, რომელიც ჩანაწყვეტია თავისი ფერიერების შორეულთა ტროფთან ხიდეეფმლოვანს. ეზეკდავ მთ შორის დატოვებულ მაძინილს და ეეწყობს, რომ ამაზე ახლოს ისინი ეიარამოვიდეს მეგარანნ... რომ ახე შეუზღალკად ინახავენ ეფუფეფელი სიეკარულის ამბავს...

- მხატვრის ატელიეში უზოადა გამოფენილი სხვადასხვა დროს შესრულებული პორტრეტები.

გამოფენილი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტში მხატვარი ცდილობდა ეკეკენებინა კომპოზიტორი მუსიკალური სახის შეკმნის, განფეფერებული შემოქმედებითი ეკის პროცესში. მხატვარს კომპოზიტორი — ახალი, ნაიდეკარსაფინ მოყარეზნილი მეფლოდის წერისას დაუუხატავს. კომპოზიტორის ფეკრ პირეკელი კოდიდეკ არ ჩაუნიშნავს და ეკეკ ესმის მისი ფიქალის ყელრა...

უჩა ჯაფარიძის ყველაზე საყვარელი თემა ბელადის ცხოვრებისა და რეეოლუციეკრი მოღვაწეობის მხატვრული ასახვაა.

აი წერის მოუუშეტეტრი მანერით შესრულებული დიდი ტალიანის ხელმძღვანელობით მოწყობილი 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის ესკიზი. ჩვეულებრივი მშვიდი სურათის ნაცვლად, მხატვარს ტალღიანებერად დინამიური, მრავალფიგურიანი კომპოზიციისათვის მოუმართავს. კაცკენ მიგნებული ხიბეეე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი

მოქანდაკე ნ. კანდელაკი

საჯარო
ბიბლიოთეკა
ბიბლიკა

თოვლი და მზე, საყოფაში

... მეორედ ჩამოკერეს ზარი...

პატარა, სათამაშოს მსგავსმა ორთქლმავლებმა ერთი ღონეირად ამოიხვნეშეს, ობამხანად შეაკოცეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, წინ გაიწიეს. გაიწიეს და მათებრ პატარა ვაგონებიანაგან შემდგარი შემადგენლობა ძალუმად დაძრეს ადგილიდან.

კვამლისა და ორთქლის ხშირ საბურველში გახვეულმა ორმა ორთქლმავალმა სწრაფად გაიარა ასი-ოდ მეტრი, მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ და ხვნეშით და ქაქანით შეეჭიდა ალმართს.

იწყება გზა პაკურიანისაკენ.

რკინიგზის ვიწრო ბილიკი საოცრად იკლაკნება, სოროსავით ეხვევა დაბურული ტყით შეფენილ მთის ფერდობებს და სულ ზევით, ზევით მიიმართება.

... გავიარეთ ავარაკები—დაბა, ზაღვერი, ცემი, ტბა, ლიბანი, პატარა ცემი, საკოჰავი.

აი, ბაკურიანიც! ორთქლმავლებმა უკანასკნელად, თითქოს ზევითო ამოიხვნეშეს, ერთი კიდევ შეაკოცეს და შეჩერდნენ.

ზამსეე ამბარდა სადგურის ბაქანი. დამშვდერნინ მხიარული ყიჟინით და შეძახილებით ეგებებიან მოსულთა. მოსული კი ბევრია; ისინი ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდიან ვაგონებიდან, პატარა ბაქანი მეთხილამურეთა ბანაკად გადაიქცა.

1616 მეტრია ზღვის დონედან.

ბაკურიანი თითქოს «ტკეკედ» ჩაუგდიათ უზარმაზარ მთებს. ისინი გიორზად დარაკუობენ მცირე ტაფობში განლაგებულ დაბას. მხოლოდ ვიწრო, დაკლაკნილ ხეობას გამოსავალი იგი მთათა რკალიდან. სადგურიდანვე ჩანს ბაკურიანის სიამაყე კოტა-გორა. მისი ხშირი, წაწვეთნი ტყით შეფენილი კალთები ჩანჩქერის ტალღებივით ეშვება» ტაფობში.

ფაფუკი და ღრმა თოვლი ყველაფერს ფარავს გარშემო. მინდორი, ხეები, სახლები, ღობეები ერთიანად ეცრიო ოთოვლშია ჩაფლული. დიდრონი ნაგაზები ყურთამდე «ყეფინთაკენ» თოვლში.

ადრიანი დილაა... ლურჯად მოკრიალებულია ცის ტაბლინი. ღრუბლის არც ერთი ნაფლეთი არ ჩანს ლაჟვარდ კაბადონზე. მზის სხივები უხეად ეფრქვევა ღრმა თოვლით დაფარულ მიდამოებს. თვალმომჭრელად ბრჭყვიალებს, თოვლი მზის მეხეხვარე სხივებს ქვეშ, ზღვის ტალღასავით ლიცლიცებს დაბარდნილი არმარე.

რიგრაგენ გამოდიან სპორტსმენები ნათხლაპარეკეზე. მეწყობრი რიგებით გაირბენენ ისინი ქეჩას და იქვე ტაფში იმალებიან განერი, ნაწრთობი ნაბიჯებით. მისრიალებენ გამოცდილი მეთხილამურეები. გაუეხდავად, უჩვეულ ბორძიკით მოდიან უფრო გამოუცდელნი, წამდაუწუმ ეცემიან და მხიარული სიცილი ზარივით რეკს სუფთა პაერში.

ბაკურიანი ჩვენი ქვეყნის მეთხილამურეთა საყვარელი ადგილია. შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, უხვი თოვლი და მზე, რელიეფის მრავალფეროვნება ბევრს საუკეთესო სამთო-სათხილამურო ბაზად ხდის. ბაკურიანში ყოველწლიურად ჩამოდიან, ვარკაშიანენ და სპორტულ ოსტატობას იმაღლებენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი სამთო-მეთხილამურეები.

წელსაც გაიმართა აქ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სამთო-მეთხილამურთა შეჯიბრება. მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, კიროვსკის, საქართველოს წარჩომადგენელები ერომიანეს ეკიბრებოდნენ სლალომში, გიგანტურ სლალომში, მთის კენწეროდან თავბრუდამხვევ დაშვებაში.

კოტა-გორას ციცაბო ფერდობი წითელალმიანი სანიშნეებითაა «მორთული». ეს გიგანტური სლალომის ტრასაა. წელს პირველად გაიმართა აქ შეჯიბრება სათხილამურო სპორტის ამ უაღრესად ძნელ და საინტერესო სახეობაში. გიგანტური სლალომის ტრასის სიგრძე ჩვეულებრივზე გაცილებით მეტია (800-1500 მ.)- მეთხილამურეს, გარდა ხელოვნურად განლაგებული წინალობანისა, გზაში უხდება ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევაც. იგი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქანის დატკეპნილ თოვლზე, ბორკასა ან ბორცვზე შურდულივით ასხლტება და გზას ჰაერში ფრენით განაგრძობს. მოქნილად, სხარტად მთელი სისწრაფე მართლაც წარმოუდგენელია—საათში 70-90 კილომეტრი! ფინეთის ხაზთან კი მკვეთრად ამუხრუჭებს...

უნადელო ოსტატობა აჩვენა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ფილატოვმა. მან ორივე სახეში გაიმარჯვა—სლალომში და გიგანტურ სლალომში. ორივე პირველი ადგილი ამავე სახეებში მოიპოვა ლენინგრადელმა ოსტატმა ვალენტინა სობოლევამ. წარმატებას მიაღწია საქართველოს გენდის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა მიხეილ გიგამ, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა გიგანტურ სლალომში.

გამოცდილ ოსტატთა ასპარეზობას სულმოუთქმელად ადევნებენ თვალს ნორჩი ბაკურიანელები. ბევრი მათგანი უკვე მარკუდენ დასრიალეს სლალომისა და სწრაფფაშვების ტრასებზე, თამამად ფრინავს ტრამპლინიდან.

დღეს ისინი ბავშვური ცნობისმოყვარეობით, გატაცებით ადევნებენ თვალს ფილატოვის, სობოლევას, გიგას, ბასალოგას, სკოპასა და სხვების ვირტუოზულ ოსტატობას. ხვალ კი თვითონ აიღებენ სტარტს კოტა-გორის მწვერვალიდან, გამალებით დაეშვებიან ციცაბოზე და როცა ფინეთის ხაზს გადაკვეთენ, წამმზომები აღნიშნავენ მათზე უკეთეს დროს, ვისაც ისინი დღეს ასე გატაცებით უმზერენ.

მ. კაკაბაძე,
ბ. ძორძია

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები

მისი დღის რეჟიმი

პირველად 100 მეტრიანი მანძილი ლევან სანაძემ 1944 წელს გაიჯარბინა. მაშინ იგი ჯერ კიდევ მოწაფის ჩანთას ატარებდა. ეს იყო ოვლიაში. ავგუსტოში კი ლევანი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა მოზარდთა შორის.

ძალზე შეკუმშულადაც რომ ჩამოთვალოთ ლევან სანაძის სპორტული მიღწევები, ისინი მაინც მეტყველებენ ახალგაზრდა ოსტატის მნიშვნელოვან გამარჯვებებზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი—1946 წელს, პირველი ადგილები — საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის ერთთვიურობან დაკავშირებით ჩატარებულ შეჯიბრებებზე — ვარშავაში, ფროცლავაზე, ტატოვიცაში. ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალზე მიღებული ვერცხლის მედალი, ეფრემის ჩემპიონობა ამანთნრენში პრიფსელში გამართულ ევროპის პირველობაზე, მსოფლიო ჩემპიონობა სტუდენტთა XI ოლიმპიურ თამაშობებში, მიღწევები ბუქარესტში, რუმინეთის ჭალაკ სტადიონში, ჰელსინკის XV ოლიმპიურ შეჯიბრებებზე და მრავალი სხვ. უფრო მეტყველად რომ ვთქვათ, სხვადასხვა პირველობებზე ლევან სანაძის მიღებული აქვს 12 ოქროს მედალი.

ახლა, ზამორის დღეებში, ლევანი თავს არ ანებებს სპორტულ მეცადინეობას, მის კოფელდელ ნაბავთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში — იგი ხან ლერმენ ტრიალებს, ხან შვედურ კედელზე მიცოცავს, ხან კი სიმძიმეებს წევს. მერე ისვენებს და ბიბლიოთეკაში ადის სამეცადინოდ. ლევანი ხომ ამავე ინსტიტუტის ასპირანტია. მან ფრიადზე ჩააბარა სამი საგანი, ახლა კი ამზადებს დისერტაციას თემაზე — „პროფესორ მოსაძის მეთოდის გამოყენება ფიზიკების დინამიური კანგარიშებისათვის“.

თუ ბიბლიოთეკიდან გამოსულ ლევანს თან გაჰყვებით და გზაზე გაეცალასენთ, ის მალე დაეგემშვიდობებათ, ბიფიზს მოიხდის და საარჩევნო უბანში შეუხვევს. ლევან სანაძე აგიტატორად არის გამოყოფილი, იგი წინასაარჩევნო სამზადისის აქტიური მონაწილეა. მოიწვევს დიასახლისებს, ჩაუკარებს მორიგ საუბარს და მომავალი შეხვედრის თემასაც გააცნობს. მაგრამ ვერც ამის შემდეგ „ჩაიგდებთ ხელში“ სალაპარაკოდ. ლევანი პოლიტკური და მეცნიერული ცოდნის გამამარცლებელ საზოგადოებისაკენ მიისწრაფის. იგი ამ საზოგადოების ნაპოვნილი წევრია და ამკანად მოხსენებისათვის ემზადება: „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა გონებრივი შრომის მუშაკთათვის“. აი, მისი მოხსენების თემა.

ლევანი ამ თემას ალბათ ბრწყინვალედ მოამზადებს. იგი ხომ სპორტსმენიც არის და გონებრივი შრომის მუშაკიც. საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ფიზიკური კულტურის მნიშვნელობა გონებრივი შრომის მუშაკისათვის.

ასეთია ლევან სანაძის დღის რეჟიმი—სპორტსმენის, მეცნიერი მუშაკისა და საზოგადოებრივი მუშაკის. — საბჭოთა მოქალაქის დღის რეჟიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ერედვში

ფოტოზე: ერედველი კოლმეურნე ვ. ქვეფსაშვილი ოქმის შრომადღეებზე გაანგარიშებისას 3,800 კგ. ხორბალს.

„ახალი“. — ამ სიტყვას ჭაიგორნები სამხრეთ ოსეთის ყოველ მხარესა და კუთხეში, ყოველ ოჯახსა და დაშენებულებაში; დოლის პურით დათესილი ახალი ყანები, ახლად გაშენებული ვენახები და ბაღები, ახალი სოფლები, ახალი სარწყავი არხები, მთებში გაყვანილი ახალი ჭიები, ახალი ჰიდროელექტროსადგურები და, რაც მთავარია,— ახალი ადამიანები.

აი, მაღალმთიანი სოფელი კოზი, აქ ივლისშიაც სამკალი სიცივეები იცის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბოსტნეულობის დიდ მოსავალს იღებენ. კოზში გაშენებულია ახალი, ჯიშთა გამოსაცდელი ნაკვეთი. ჯერო მ. ლეა, ზღვის დონიდან 2250 მეტრის სიმაღლეზე, იმყოფება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამთო-საველე სტაციონარი. აქ იზრდება თეთრი და ფერადი კომბოსტო. სოფელ უკანაბსარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 23000 სული ცხოვრობ. ფერმის გამგეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, გ. ბაშარულს გამოჰყავს ახალი — ქსნის ჯიშის ცხვარი. როგორც, ალბეგის, ერედვის და სხვა მრავალი სოფლის მეცხოველეები ფარითოდ იყენებენ ცხოველთა ხელოვნური შეუჯაბრების ახალ მეთოდს.

— აუცილებლად ინახულეთ ერედვი!—ვეთხარეთ ტალინარში.—სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენს ოლქში!

...საკმარისია ერთხელ გადაავლოთ თვალი სოფელ ერედვს და მრავალ „ირასოფფლურ“ მოვლენას შეამჩნევთ: სწორი და ფართო ქუჩები ლამაზად გამოიყურებიან. ჭიას მიჰყავება ელექტრონისა და ტელეფონის ბოძები. ზმირად მოისმის მსუბუქი და საბარო „ავტომანქანების საყვირის ხმა, რომელსაც აქ, მთებისა და გაშლილი ველების სიახლოვეს თავისებური ელფერს აძლევს. მოედნის შინ შენდება კოლმეურნეობის კინტორისა და კლუბის დიდი შენობა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ერედვში 200 სახლი აშენდა. ამიკამად 50 კოლმეურნე იშენებს საკუთარ სახლებს. სოფელს ჰიდროელექტროსადგური აქვს. ელექტრონს მოძრაობაში მოჰყავს 2 წისქვილი, ელექტროხერხი და სხვ. ერედვში რამდენიმე სკოლა, მედიცინა ბიბლიოთეკა და კეთილშობილი ბალაა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის იასონ ილიას ძე კჩოსტესიაშვილის ნაცვალი ისე ადვილი საქმე გამოდგა. იგი იშვიათად შედის თავის კაბინეტში. უმეტეს წილად მინდვრებში და ფერმებში იმყოფება. იასონი კოლმეურნეობასთან ერთად ირიდებოდა. ჯერ 12 წელია, რაც ის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. ალბათ ამიტომაა, რომ იასონი კარგად იცნობს თვითეულ კოლმეურნეს, თვითეულის შესაძლებლობასა და შრომის უნარს. ამის მიხედვით არჩევს მათთვის

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები

პირველი მიღწევები

სცენიდან ისმის ეთერის მგალობიარე, ზარდაცემული ხმა, იგი სიტყვას აძლევს მომაკვდავ ბებელიმს, რომ ცოცხალი არ დარჩეს მისი სიკვდილის შემდეგ და კიდევაც ასრულებს ამ ფიცს... ორივენი ცხალმანთან სიცოცხლეს. სიყვარული ომარჯვეს სიკვდილზე. ეს დრამატული მომენტი უკიდურეს დაძაბულობას ქმნის ოპერის დანარჩენ მოქმედ პირებზეც, სასოწარკვეთილია მარეხი, მეხ ეიტეულოვით დგას ხალი, ორკესტრის ინსტრუმენტებიც გამოთქვიან „თავიანთ“ მწუხარებას, ეს სევდიანი თანაგრძნობა მაყურებელთა დარბაზსაც მოფენია. ფარდა ეშვება. ტაშის გრიალი საზრიანთ გაჩუმება ლებას უზრუნნეს მსახიობებს. ფარდის წინ გამოდიან ეთერის, ახეულლომის და მერმანის როლის შემსრულებლები. ახალგაზრდა მომღერალი ქალი — ეთერის როლის შემსრულებელი — მოოცნავდ უკრავს თავს მაყურებლებს და ყველაზე პირველად გადის კულისებში.

—ყოჩაღ, დღეს უკეთესად იმღერე! — ეუბნება მას გუნდის ძველი მომღერალი და ჭაას უთმობს.

— მომღოლეავს, მომღოლეავს! — რა მდენმე ნაბიჯის შემდეგ კვლავ ესმის ახალგაზრდა მომღერალ ქალს; იგი მალალი ხმიდან და კიბეზე შემავალი სცენის მემანქანეს თავს უქნევს მადლობის ნიშნად.

— საგრიმიორო ოთახის კარებთან მას „ახეულლომი“ ეწევა, რომელსაც უკვე პარიკი მოეძარცია და ბაღარაშერეული თმები მოუჩანს. ეს ძველი გამოცდილი ტენორია.

— მართალი გითხრა, დასაწყისში ცოტა ვშიშობდი, მაგრამ ბრწყინვალე პარტნიორობა გამიწია, ყოჩაღ, „ეთერ ქალი“! — ღიმილით ამბობს ტენორი.

— „ეთერ ქალი“ საგრიმიორო ოთახში ისალეგა. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან შაგვრეშენა. ცოცხალი თვალებიანი ახალგაზრდა ქალი. გამოდის, უს არის თბილისის ოპერის სოლისტი—თამარ თაქაიშვილი.

1951 წლის დასაწყისში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში თბილისის კონსერვატორიის სხვა ახალგაზრდა კურსდამთავრებულ მომღერლებთან ერთად თამარ თაქაიშვილიც მიიღეს. მას შემდეგ მხოლოდ ორმა წელმა განვლო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თამარმა მნიშვნელოვანად შეიდეგეს მიაღწია. მისი სფეთა და სასიამოვნო ხოპრანი ხშირად ისმოდა ოპერის სცენიდან.

ამჟამად თამარი სამ მთავარ პარტიას ასრულებს: ეთერს — „ბებელიმ და ეთერში“, ნედას — „ჯადაბაზებში“ და მარგარეტას — „ფაუსტში“. ისეთ მეორეხარისხოვან როლებში, როგორიცაა ფრასკატა („ჯარმენი“), პრილეტა („პიკის ქალი“) და კერუმი ქალი („აიდა“) თამარი მაინც ახერხებს თავისი ფოკალური მონაცემების გამოშეკვეთვენებს.

„მე არ მაკმაყოფილებს ის გაკვეთილები, რასაც თეატრში ვღებულობთ“ — ამბობს თამარი. ყოველი ახალი როლის მოშზადებისას ის კითხულობს შესაბამის მსატყვრულ და ისტორიულ ლიტერატურას და ყოველმხრივ ეცნობა სპეციალურ მოცემელი ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს.

თ. თაქთაქაშვილი ერედვს როლში („ჯადაბაზები“).

რუკა მოგვითხრობს

გრიგოლ ზარდალიშვილი

ჩვენს წინაა ორი რუკა — ძველი და ახალი საქართველოს რუკა. პირველი ასახავს საქართველოს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, მეორე რუკა კი მოგვითხრობს ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებით შრომასა და წინსვლაზე, ახალი ქალაქების აღმოცენება-განვითარებაზე, სახალხო მეურნეობის ახალი დარგების შექმნაზე, ხალხის ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

შეადარეთ ეს ორი — ძველი და ახალი რუკა და დაინახავთ თუ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. ცხადია, რუკა სრულყოფილად ვერ ასახავს ჩვენ წარმატებებს, იმ დიად გარდაქმნებს, რაც სტალინური ხუთწლედების პერიოდში მოხდა. თვით მსხვილ-მასშტაბიანი რუკაც ვერ გვიჩვენებს იმ უდიდეს განსხვავებებს ძველ და ახალ საქართველოს შორის.

შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფია, მაშასადამე, შეიცვალა საქართველოს რუკაც. ბურჟუაზიული მეცნიერები ამტკიცებენ: ,,გეოგრაფია არ იქმნება, არამედ თვით იბადება''. არა, ვამბობთ ჩვენ. გაშენებთ რა კომუნიზმს, ჩვენ გარდავქმნით ბუნებას და სახეს ვუცვლით ქვეყნის გეოგრაფიას, მაშასადამე რუკასაც.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, წარმატებით შრომობს მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სახალხო მეურნეობა საქართველოში ძალზე ჩამორჩენილი იყო. მრეწველობის საფუძველს შეადგენდა მხოლოდ წვრილი შინამრეწველური საწარმონი, წარმოების ძველთაძველი წესებით. ძველი საქართველო, მფლობელობა ეს განაპირა მხარე, რუსეთის სამრეწველო ცენტრის აგრარულ-სანედლეულო დანამატს წარმოადგენდა, წარმოებდა მხოლოდ ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავება და მარგანეცი მთლიანად უცხოეთში გაჰქონდათ, ხოლო ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება იმდენად მცირე იყო, რომ იგი საქართველოს ისედაც ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო ჩაის ორი ფაბრიკა ქუთაისსა და ახალციხეში, თამბაქოს ფაბრიკა სუხუმში. ძველ საქართველოში ისეთ დიდ ქალაქსაც კი, როგორიც იყო თბილისი, არ გააჩნდა არც ერთი მსხვილი საწარმო. ამხანაგი სტალინი 1910 წლის მაისში თავის წერილებში კავკასიიდან შესანიშნავად ახასიათებს იმდროინდელ თბილისს:

,,თბილისი შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ-სავაჭრო და ,,კულტურული'' ცენტრი. თბილისში სულ 20 ათასამდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები. ერთადერთი დიდი საწარმოა რკინიგზის სახელოსნოები (3.500-მდე მუშა). დანარჩენ საწარმოებში თითოში 200, 100, მეტ წილად კი 40-20 კაცია''.

